

2022 წლის 12 თვის ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და ქვეპროგრამების შესახებ
შსს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიცია
(30 02)

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება, პროგრამული კოდი)
 სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
 თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: სახელმწიფო საზღვრის დაცვა -3002

პროგრამის განმახორციელებელი – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	12 თვის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთი სარსებობის შემთხვევაში)
30 02	სახელმწიფო საზღვრის დაცვა	159 266,0	154 517,6	154 480,0	99,98%	-

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადასარჩენად, საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი, სასაზღვრო პოლიციის სტრუქტურული ერთეულების, რეგიონული სამმართველოებისა და სასაზღვრო სექტორების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფლოტის მხარდაჭერა.

2022 წლის 12 თვის განმავლობაში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი და აღკვეთილი იქნა შემდეგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები (1131 ფაქტი დაკავებულია 1319 პიროვნება):

- აღძრულია სისხლის სამართლის 267 საქმე დაკავებულია 160 პირი, მათ შორის:
 - თურქეთის მოქალაქე - 74 პირი;
 - საქართველოს მოქალაქე - 24 პირი;
 - ბანგლადეშის მოქალაქე - 12 პირი;
 - აზერბაიჯანის მოქალაქე - 8 პირი;

- ავღანეთის მოქალაქე - 7 პირი;
 - მაროკოს მოქალაქე - 6 პირი;
 - სომხეთის მოქალაქე - 4 პირი;
 - უზბეკეთის მოქალაქე - 3 პირი;
 - ჩინეთის მოქალაქე - 3 პირი;
 - ეგვიპტის მოქალაქე - 1 პირი;
 - კუბის მოქალაქე - 3 პირი;
 - ინდოეთს მოქალაქე - 3 პირი;
 - პაკისტანის მოქალაქე - 2 პირი;
 - სირიის მოქალაქე - 2 პირი;
 - რუსეთის მოქალაქე - 2 პირი;
 - ირანის მოქალაქე - 2 პირი;
 - ტუნისის მოქალაქე - 1 პირი;
 - ყირგიზეთის მოქალაქე - 1 პირი;
 - ყაზახეთის მოქალაქე - 1 პირი;
 - ბელარუსის მოქალაქე - 1 პირი.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - 547 ფაქტი 547 პირი;
 - სასაზღვრო რეჟიმის დარღვევა - 317 ფაქტი 612 პირი;
 - საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 70 სამაშველო ოპერაცია (20 -საჰაერო, 39 - საზღვაო, 11 - სახმელეთო), რის შედეგადაც 281 ადამიანს აღმოეჩინა დახმარება (ერთ-ერთი სამაშველო ოპერაციისას, სასაზღვრო პოლიციის კუთვნილმა ვერტმფრენმა განიცადა კატასტროფა, რამაც ეკიპაჟის 4 წევრი შეიწირა). ზღვაში დახმარება გაეწია 18 მცურავ საშუალებას, ნაპოვნია 2 ადამიანის გვამი.

2022 წლის 12 თვეში საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ შეადგინა 1 843 875 ლარი.

საანგარიშო პერიოდში სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ოპერაციების მართვის მთავარი სამმართველოს რადიოტექნიკური კონტროლის ღონისძიებების შედეგად დაფიქსირდა ნავსადგურებში შემოსულ-გასული 841 მცურავი საშუალებება *(აღნიშნული სტატისტიკა არ ხორციელდება 2022 წლის 18 აპრილის სანაპირო დაცვის დირექტორის ბრძანება №11 ის საფუძველზე “საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების სამსახურებრივი საქმიანობის ანგარიშის წარდგენის ორგანიზების შესახებ“). შემოწმდა - 121 არასამხედრო გემი.

სანაპირო დაცვის დეპარტამენტის მცურავი საშუალებების ზღვაში ყოფნის საერთო დრომ შეადგინა – 13 820 სთ 22 წთ მათ შორის:

- პატრულირება – 13 039:40 სთ;
- ძებნა–გადარჩენა და დახმარების ოპერაცია – 85:25 სთ;
- კონტროლი – 450:10 სთ;
- სხვა შემთხვევა – 204:50 სთ;
- სწავლება – 40:17 სთ.

სანაპირო დაცვის ოპერაციული შესაძლებლობებისა და საზღვაო–საინჟინრო მომსახურების პოტენციალის გაზრდის მიზნით 2 მცურავ საშუალებას ჩაუტარდა სადოკე–სარემონტო სამუშაოები:

- მცირე საპატრულო კატარდა „სიარკი“ ბორტი №P-001 (23/02/2022-23/02/2022) ჩაუტარდა მარჯვენა გამწვევ ლილვის სარემონტო სამუშაოები;

- სადარაჯო ხომალდი „სოხუმი“ ბორტის №P-24 (30/03/2022-31/03/2022) ჩაუტარდა ჰიდრაულიკური საჭის სისტემის (MJP) სარემონტო სამუშაოები.

4 საპატრულო კატარღა ამოღებულია დოკზე და მიმდინარეობს სადოკე-სარემონტო სამუშაოები:

- საპატრულო კატარღა „ფოთი“ ბორტი №P-108 (01/03/2021);
- მცირე საპატრულო კატარღა „სიარკი“ ბორტი №P-001 (26/08/2022);
- საპატრულო კატარღა „გენერალი მაზნიაშვილი“ ბორტი №P-102 (03/02/2022) (ჩაუტარდა დიზელ გენერატორების დემონტაჟი);
- საპატრულო კატარღა „მესტია“ ბორტი №P-106 (07/12/2021-29.06.2022) მწყობრიდან გამოსულია მარჯვენა მთავარი ძრავი, სადოკე-სარემონტო სამუშაოები ვერ ჩაუტარდა).

2022 წლის 12 თვეში სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარმა სამმართველომ შეასრულა 396 დავალება, ნაფრენმა დრომ შეადგინა 790:37 საათი, მათ შორის:.

- სამაშველო - 20 დავალება 44:20 სთ;
- ლიტერული - 24 დავალება 33:32 სთ;
- ტექნიკური - 20 დავალება 22:03 სთ;
- როტაცია - 77 დავალება 262:10 სთ;
- სასაზღვრო - 41 დავალება 54:16 სთ;
- სამოქალაქო (თელავი-ომლო, ომლო-თელავი) - 9 დავალება 17:11 სთ;
- სასწავლო - 9 დავალება 17:44 სთ;
- სახანძრო - 196 დავალება 339:21 სთ (ხანძრების ლიკვიდაციისათვის განხორციელებულია 3479-ჯერ წყლის დასხმა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების გამოყენებით).

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 2022 წლის 12 თვის განმავლობაში განხორციელებულია სასწავლო ღონისძიებები, ვიზიტები და სამუშაო შეხვედრები, მათ შორის:

- ვიზიტებში და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო სასაზღვრო პოლიციის 65 მოსამსახურემ (საქართველოში 23 მოსამსახურე, საზღვარგარეთ - 42 მოსამსახურე);
- სწავლებები გაიარა სასაზღვრო პოლიციის 265 მოსამსახურემ (საქართველოში 224 მოსამსახურე, საზღვარგარეთ - 41 მოსამსახურე);
- გრძელვადიან სასწავლო კურსს გადის სასაზღვრო პოლიციის 27 მოსამსახურე (საქართველოში - 13 მოსამსახურე, საზღვარგარეთ - 14 მოსამსახურე);
- ლილოს ბაზაზე არსებულ პოლიგონზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს პირადი შემადგენლობის "სწავლება საცეცხლე მომზადებაში" გაიარა - 129 მოსამსახურემ;
- "სნაიპერული შაშხანის 7,62X51 მმ-იანი (308) მომზადების სასწავლო კურსის პროგრამა" გაიარა - 3 მოსამსახურემ;
- ინგლისური ენის სასწავლო კურსი - გაიარა 18 მოსამსახურემ;
- საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს "სწავლება ტაქტიკური მომზადებაში" (ლილოს ბაზაზე არსებულ პოლიგონზე და დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე) - გაიარა - 175 მოსამსახურემ.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საზღვრის მართვის, კონტროლის, ვიდეოდაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;
- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- სასაზღვრო პოლიციის საზღვაო ფლოტის განახლება;
- სასაზღვრო პოლიციის საჰაერო ფლოტის განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განვითარებული საზღვრის მართვის, კონტროლის, ვიდეოდაკვირვებისა და ინფორმაციის გაცვლის ტექნოლოგიები;
- აშენებული და რეაბილიტირებული სასაზღვრო ინფრასტრუქტურა;
- განახლებული სასაზღვრო პოლიციის საზღვაო ფლოტის მცირე მცურავი სწრაფმავალი საშუალებები;
- მოდერნიზებული და სტანდარტიზებული სასაზღვრო პოლიციის საჰაერო ფლოტი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია 58 სექტორი (89%). სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სადგურები და საპატრულო კატარღები არ არის აღჭურვილი ელექტრონული დაკვირვებისა და აღმოჩენის ტექნიკური საშუალებებით და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

2 (3%) სასაზღვრო სექტორის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართვა და სანაპირო დაცვის სამმართველოების (ფოთი, ბათუმი), სადგურების (ანაკლია, ჩაკვი, გონიო) და საპატრულო კატარღების ელექტრონული დაკვირვებისა და აღმოჩენის ტექნიკური საშუალებებით და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით აღჭურვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო დაცვის დეპარტამენტის №3 სამმართველოს (წითელი ხიდი) №13 სასაზღვრო სექტორი (ჩიჩხიტური) და ქსელში ჩართულმა საერთო რაოდენობამ შეადგინა 59 სექტორი (91%).

ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები დანერგილია (დამონტაჟებულია და გამართულია) სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სამმართველოებში (ფოთი, ბათუმი), საზღვაო სადგურებში „ანაკლია“, „ჩაკვი“ და „გონიო“, საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრში (ს.გრიგოლეთი), სამ სადარაჯო ხომალდზე („ოჩამჩირე“ - P23, „სოხუმი“ - P24, „დოსკურია“ - P25), ოთხ საპატრულო კატარღაზე („ცოტნე დადიანი“ - P101, „ბათუმი“ - P 103, „ივერია“- P105, „ვაზისი“ – P109) (საერთო ღირებულებით 488 874 ლარი)

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

2022 წელს გეგმით გათვალისწინებული ერთი (დაგეგმილის 50%) სასაზღვრო სექტორის ჩართვა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ვერ განხორციელდა მობილური სატელეფონო პროვაიდერის სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

სასაზღვრო პოლიციის რეგიონალური სამმართველოების 73% (ასაშენებელია 3 სამმართველო) და სასაზღვრო სექტორების 86% (ასაშენებელია 9 სასაზღვრო სექტორი) აშენებულია

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შეიარაღების საწყობის და კინოლოგიის სამმართველოს ძალების სამშობიარო ბლოკის მშენებლობა, სასაზღვრო პოლიციის N5 სამმართველოს (ლაგოდეხი) N6 სასაზღვრო სექტორი (ლაფანყური) ელექტროფიცირება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბიუჯეტო ასიგნებების სიმცირეს გამო და პრიორიტეტების ცვლილებასთან დაკავშირებით სანაპირო დაცვის დეპარტამენტის შეიარაღების საწყობის მშენებლობა და სასაზღვრო პოლიციის N5 სამმართველოს (ლაგოდეხი) N6 სასაზღვრო სექტორის (ლაფანყური) ელექტროფიცირება ვერ მოხერხდა. 2022 წელს რეაბილიტირებულია და მოწყობილია შემდეგი სასაზღვრო ინფრასტრუქტურა:

- განხორციელდა სასაზღვრო პოლიციის კინოლოგიის სამმართველოში ძალების ვოლიერების და სამშობიარო ბლოკის მოწყობა, რომლის ღირებულებამ შეადგინა 22 397 ლარი;
- ელექტროფიცირებულია საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის 3 სამმართველოს (წითელი ხიდი) 13 სასაზღვრო სექტორი (ჩიჩხიტური) (108 290 ლარი);
- მოწყობილია სასაზღვრო პოლიციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მატერიალური მარაგების სამსახურის (ქ. თბილისი, ქიზიყის ქ. 11) ტერიტორიაზე საკონტროლო გამშვები პუნქტი (23 995 ლარი);
- განხორციელდა გაზიფიცირება (შიდა ქსელის მოწყობა) 3 სამმართველოს (წითელი ხიდი) 1 სექტორის (ირგანჩაი) (2 971 ლარი) და 4 სამმართველოს (დედოფლისწყარო) 8 სექტორის (სამთაწყარო) (4 765 ლარი);
- დასრულდა სასაზღვრო პოლიციის ცენტრალურ ოფისში ლიფტის მონტაჟი (72 600 ლარი) და შენობების სარემონტო სამუშაოები (217 038 ლარი);
- სასაზღვრო ზოლში დამონტაჟებულია 500 სასაზღვრო ზოლის აღმნიშვნელი გამაფრთხილებელი აბრა საერთო ღირებულებით 445 200 ლარი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

გამოწვეულია სასაზღვრო პოლიციის ხემძღვანელობის მიერ პრიორიტეტების შეცვლით, სარემონტო სამუშაოების და სამშენებლო მასალების ღირებულების ზრდით.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

სასაზღვრო პოლიციის სპეციალური დანიშნულების ავიაციის მთავარ სამმართველოს ერიცხება 14 საფრენი აპარატი, მწყობრშია 5 ერთეული (36 %).

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

სამი (H145 ტიპის 1,5-2 ტონა ტვირთამწეობის) ვერტმფრენის შესაძენად შესაბამისი პროცედურების დაწყება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

გაფორმებულია მრავალწლიანი ხელშეკრულება და დაწყებულია შესაბამისი პროცედურები სამი (H145 ტიპის 1,5-2 ტონა ტვირთამწეობის) ვერტმფრენის შესაძენად (2022 წელს ანაზღაურებულია ვერტმფრენების ღირებულების ნაწილი 44 410 590 ლარი (15700000€), 2024 წელს გადასახდელია ვერტმფრენის ღირებულების დარჩენილი ნაწილი (5300000€).

2022 წლის 27 აპრილს "სტენდმილ ს.რ.ო.დ.ო.ო"-სთან გაფორმებული 115/3-80-1 ხელშეკრულების თანახმად მიღებულია სპეციალური დანიშნულების მთავარი სამმართველოს ვერტმფრენებისათვის 2 კომპლექტი კუდა ხრახნი ლაპოტებით საერთო ღირებულებით 703 731 ლარი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის განსხვავება გამოწვეულია სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენების შეუფერხებელი და უსაფრთხო ფრენისათვის საჭირო ცვლადი ნაწილების შექენით.